წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის
ოქმი N7
ქ. წალკა; 10.03.2017 წ.

10:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ხაჩატურიანი, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე სამსონ თამარიანი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ვანაძე, ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარე რევაზ მაკარაძე, ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ჯემალი ბერიძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარე დავით მსჩიტიძე, ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობის" თავმჯდომარე ამირან საგინაძე, ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების" თავმჯდომარე ედგარ ფურცელაძე. (რეგისტრაციის სია თან ერთვის);

დღის წესრიგი:

1. „წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #2 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული 2017 წლის 28 თებერვლის #6403 სამართვებრივი დასკვნის განხილვის შესახებ;

2. „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #4 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული 2017 წლის 2 მარტის #6678 სამართვებრივი დასკვნის განხილვის შესახებ;

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია „წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #2 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამართველოდან შემოსული 2017 წლის 28 თებერვლის #6403 სამართვებრივი დასკვნა. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაიწყოს წარმოდგენილი სამართლებრივი დასკვნის განხილვა. დაევალოთ საკრებულოს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას სხდომაზე განიხილონ აღნიშნული საკითხი და წარმოადგინონ შესაბამისი დადგენილების პროექტი საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის.

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #4 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული 2017 წლის 2 მარტის #6678 სამართვებრივი დასკვნა. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაიწყოს წარმოდგენილი სამართლებრივი დასკვნის განხილვა. დაევალოთ საკრებულოს: სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და სოციალურ საკითხთა კომისიას სხდომაზე განიხილონ აღნიშნული საკითხი და წარმოადგინონ შესაბამისი დადგენილების პროექტი საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხიების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი* *ი.გიგინეიშვილი*

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **10** მარტის **№7** ბიუროს სხდომის რეგისტრაციის ფურცელი

№	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1	ირაკლი გიგინეიშვილი	
2	გოჩა ხაჩატურიან	
3	სამსონ თამარიან	
4	ნუგზარი ჩამურლიევი	
5	სტეფან ეგოიან	
6	ნოდარ ვანაძე	
7	მელიტონ პაკელიანი	
8	დავით მაჩიტიძე	
9	ჯემალ ვანაძე	
10	ამირან საგინაძე	
11	ალექსი მუხსიევი	
12	ჯემალი ბერიძე	
13	ედგარ ფურცელაძე	
14	რევაზ მაკარაძე	